ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ა/წლის 13 ოქტომბრის №10/18496 წერილის საფუძველზე, დანართის სახით წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შორენა ბუხრაშვილის 2014-2015 წლების მუშაობის ანგარიშს.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, 16:00 საათზე, ქ. თბილისი, დ/დიღომი, მე-3 მ/რ; ნესტან-დარეჯანის ქ. №1-ში („იუნიქ ლერნინგის“ შენობა), ჩატარდა შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან, რომლებსაც საკრებულოს წევრის რანგში წარვუდგინე 2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში.

დანართი: 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი და

1 CD-დისკი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

შორენა ბუხრაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებისა განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 33 ფურცელი

№10/18496 30.10.15 წ.

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შორენა ბუხრაშვილის
2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შორენა ბუხრაშვილის აქტივობა:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის" მდივანი.
- საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი.

I. 2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოები

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2014 წლის 21 ივლისიდან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის დღიდან) 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

- 2014 წლის 21 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული იქნა კომისიის 25 (აქედან, სხვა კომისიებთან ერთობლივი - 8) სხდომა.

ჩემი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა კომისიის 24 სხდომა. გარემოს დაცვის კომისიის დებულების თანახმად, 1 (ერთი) სხდომა ჩატარებული იქნა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი დავით უთმელიძის მიერ, რადგან მე, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ოფიციალური, სამუშაო ვიზიტით (მივლინებით) ვიმყოფებოდი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში (ქ. ლონდონი), სადაც შევხდი ქ. ლონდონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებსა და ცხოველთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

აღნიშნული სამუშაო ვიზიტი შედგა ქ. ლონდონში შინაური ცხოველების - ძაღლებისა და კატების - მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის არსებული პრაქტიკისა და სამართლებრივი ბაზის გაცნობის მიზნით.

კომისიის 25 სხდომაზე, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 57 საკითხი (მათ შორის, მოქალაქეთა წერილები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტები და სხვ.).

♦ კომისიის პრიორიტეტები:

1. გამწვანების მიმართულება

გარემოს დაცვის კომისიის პირველივე სხდომაზე (ოქმი №1, 25.07.2014წ.) კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შემდეგი სახის გადაწყვეტილება, კომისიის კომპეტენციაში

შემავალ ნებისმიერ პროექტს და/ან პროგრამას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დეტალური, დასაბუთებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილების 21-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების (სულ: 5 პროგრამის პროექტი) დასაბუთება არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა და საქალაქო სამსახურს დაევალა, უმოკლეს ვადაში, შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის გარდა, იგივე მოთხოვნების გათვალისწინება მოუწიათ რაიონულ გამგეობებს, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, „ხე-ნარგავების გადაბელვა, სხვლა-ფორმირების და სხვა სამუშაოების თაობაზე" წარმოდგენილ პროექტებს არ ჰქონდა დართული ინფორმაცია ხე-ნარგავების დისლოკაციის (მოსაჭრელი და გადასაბელი ხეების ადგილმდებარეობის) შესახებ და საჭირო დოკუმენტაცია (მოქალაქეთა განცხადებები, რის საფუძველზეც იჭრებოდა და/ან იბელებოდა ხე). სხვა საკითხია, შესაბამისი რაიონული გამგეობები რა ხარისხით და როგორ ახორციელებდნენ აღნიშნულ სამუშაოებს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

კომისიის მიერ სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია „ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს №5-5 გადაწყვეტილების, 21-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს ბიუროსთან შესათანხმებლად წარმოდგენილი პროგრამები, რომელიც ეკოლოგიისა და გამწვანების პროგრამის (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 3.1) და, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ „ავარიული და ზეხმელი ხეების გადაბელვის სამუშოების პროგრამების და ქვეპროგრამების" ფარგლებში განხორციელდა.

აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა ის პროექტები (სულ: 68 პროექტი), რომელიც ითვალისწინებდა 2014 წლის ბიუჯეტით, გამწვანების პროგრამების ფარგლებში, დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის ხე-ნარგავებითა და მცენარეებით განაშენიანებას. კერძოდ, ამ პროგრამების ფარგლებში დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის გასამწვანებლად, საერთო ჯამში, შესყიდვა განხორციელდა 25 922 ნერგზე.

აღნიშნული პროგრამების (14 პროექტის) ფარგლებში განხორციელდა დედაქალაქის რაიონული ტერიტორიების გამწვანებისთვის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული

ბაგა-ბაღებისთვის (7 050 ნერგი) და ქ. თბილისის მოსახლეობისთვის (კორპუსის ამხანაგობებისთვის) გადასაცემი ნერგების (1 500 ნერგი) შესყიდვა.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ქეთევან დედოფლის გამზირზე, სასტუმრო „მეტეხის" მიმდებარე ფერდობი მომზადდა გამწვანების, ნერგების დარგვის, მოწყობა-აღდგენითი სამუშაოებისთვის.

ასევე, ჩატარდა დ. აღმაშენებლის ხეივნის, ვერის ბაღის, გლდანის ყოფილი ნაგავსაყრელის, ხუდადოვის ტყის და სხვა ტერიტორიების გამწვანება-აღდგენითი (ნერგების დარგვის) სამუშაოები.

გარდა ზემოთქმულისა, 2014 წლის ბოლოს (ნოემბერ-დეკემბრის თვეში) დაიწყო 2015 წლის სამუშაოებისთვის მზადების პროცესი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარუდგინა 2015 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან დასაფინანსებელი პროექტები. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტების თანახმად, 2015 წლისთვის (კონკრეტულად, ტენდერის გამოცხადების და ჩატარების შედეგად, გამარჯვებულ სუბიექტებთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით) დაიგეგმა დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოების განხორციელება.

აღნიშნული პროექტები (სულ შეთანხმდა 26 პროექტი) ითვალისწინებდა სხვადასხვა სახის სამუშაოების განხორციელებას, მათ შორის, უკვე არსებული სკვერებისა და ბაღების მოვლა-პატრონობას, ხე-ბუჩქოვანი ნარგავების მოვლას, გახარებას და სხვ. ამ პროექტების საფუძველზე დაიგეგმა: ყველა რაიონის გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, ასევე, გოძიაშვილის სახელობის ბაღის (პროექტის სავარაუდო ღირებულება: 43 174, 44 ლარი), პარკი „მზიური"-ს (სავარაუდო ღირებულება: 160 440,22 ლარი), 9 აპრილის სახელობის ბაღი (157 028, 32 ლარი), ვერის ბაღი (84 177, 17 ლარი) აეროპორტის ტრასის და მიმდებარე ტერიტორიის (927 193,24 ლარი), რიყის პარკის (სავარაუდო ღირებულება: 408 688, 35 ლარი) და სხვა პარკების/სკვერების მოვლა-პატრონობა.

გამწვანების მიმართულებებში, ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ერთ-ერთი კომპონენტია მათი სხვლა-ფორმირება და გადაბელვა.

ამ მიმართულებით არსებული პრობლემებიდან, ერთ-ერთი სახის პრობლემა დაკავშირებული იყო ხეების სხვლა-ფორმირების, გადაბელვის და მოჭრის სამუშაოების არაპროფესიონალურ დონეზე გახორციელებასთან.

- აღნიშნული სამუშაოების გახორციელება, 2015 წლამდე ევალებოდა, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს, ასევე, დედაქალაქის რაიონულ გამგეობებსაც.

პრობლემა ის იყო, რომ არ არსებობდა ერთიანი წესი, რომლის თანახმადაც მოხდებოდა ხეების სხვლა-ფორმირება და გადაბელვა და, ასევე, პრობლემას წარმოადგენდა გადაბელვის თუ სხვლა-ფორმირების დროს დაშვებული შეცდომების და არაპროფესიონალიზმის გამო ხეების ფუნქციის მოშლა.

გადაბელვასთან დაკავშირებით არაერთხელ მოგვმართეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა; კომისიის სხდომებზეც გაჟღერდა მოქალაქეებისა და არამარტო მათი გულისტკივილი, რასაც იწვევდა ის გარემოება, რომ ხის გადაბელვის დროს, ფაქტობრივად არ ხდებოდა ხის ჯიშის, მისი წლოვანების, ლანდშაფტის თუ გარემო-პირობების შესწავლა და გათვალისწინება. რაიონული გამგეობების მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს, უმრავლეს შემთხვევაში, ყველა ხე ერთ სტანდარტზე, მხოლოდ სიმაღლეში იჭრებოდა და ამით, ერთიან ეკო-სისტემაში ხეს ეკარგებოდა საკუთარი ფუნქცია და დანიშნულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ გაიარა კონსტულტაციები შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, გაითვალისწინა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, არსებული საერთაშორისო სტანდარტები და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აუცილებელია არსებობდეს ერთიანი სისტემა და მარეგულირებელი ნორმა, რომელიც დაადგენს არამარტო გადაბელვის სტანდარტებს, არამედ, ზოგადად, ხე-ნარგავების დარგვის, მოვლა-პატრონობის, სხვლა-ფორმირების წესს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის" თანახმად, 2015 წლის 1-ლი იანვრიდან, ყველა რაიონულ გამგეობას შეუწყდა ხეების სხვლა-ფორმირების, გადაბელვის და მოჭრის სამუშაოების გახორციელების დაფინანსება და აღნიშნული უფლებითა და ვალდებულებით (მათ შორის ფინანსურადაც) აღიჭურვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა და დადებითი შეფასება მიეცა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 2014 წლის 12 დეკემბერს №17-55 დადგენილებით.

გარემოს დაცვის კომისიის გადაწყვეტილებებით, 2014 წლის ბიუჯეტით ავარიული და ზეხმელი ხეების გადაბელვის სამუშოების პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში, ქ. თბილისის რაიონული გამგეობების მიერ გასახორციელებელი 11

პროექტიდან 1 პროექტი უარყოფითად შეფასდა, რადგან აღნიშნული პროექტი საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი იყო 2014 წლის 16 დეკემბერს, ხოლო „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას 2014 წლის 10 დეკემბრის №04/18793 წერილის) თანახმად, ხეების მოჭრა-გადაბელვის და კუნძების ამოღება-გატანის სამუშაოები გამწვანების ღონისძიებებში (პროგრამის კოდი: 3.1) იქნა ასახული და ამ სამუშაოების განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

გამწვანების მიმართულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სარეკრეაციო ზონების საკითხი. ზოგადად მაინც უნდა აღინიშნოს იმ ფაქტორების შესახებაც, რამაც გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გაჩანაგება და სარეკრეაციო ზონების შემცირება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით მასიურად იჭრებოდა ხე-მცენარეები, გამონაკლისი არც დედაქალაქი ყოფილა. ქ. თბილისის სარეკრეაცო ზონებში არსებულ მწვანე ნარგავებზე პასუხისმგებლობა თითქმის არავის ეკისრებოდა. გარდა ამისა, უკვე, შემდგომ პერიოდში, მასობრივად დაწყებულმა მშენებლობებმა ის დარჩენილი ტერიტორიებიც გაანახევრა, რომელიც 90-იანი წლების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კრიზისს გადაურჩა. ამ ყველაფერმა კი, სტიქიური მოვლენების სახით, ისევ ადამიანებს მიაყენა ზიანი - დედაქალაქში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ძლიერი და ხანგრძლივი წვიმები, სულ უფრო ხშირად ხდება შიდა, მცირე მდინარეების (გლდანისხევი, ლეღვთახევი, ვერე, დიღმულა და სხვ.) კალაპოტიდან გადმოსვლა, წყალმოვარდნები (რასაც ხელს უწყობს მოუწესრიგებელი და ადამიანების მიერ დანაგვიანებული წყალგამტარი კომუნიკაციებიც), მეწყერები, ძლიერი ქარი და სხვ. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ტყე, მათ შორის, დედაქალაქის თვითმმართველობის საკუთრებაში 2010 წელს გადმოცემული 8106.9 ჰა ტყის ფონდიც (კიკეთი, დიღმის ტყე-პარკი, კოჯორი, წყნეთი და სხვა ტერიტორიები) მოიაზრება და ბუნებრივი უნიკალურობისა და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, შედის ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ოცდათორმეტ „ცხელ წერტილში". როგორც ცნობილია, ხე-ნარგავებით დაფარული ტერიტორია უფრო მეტად არის დაცული სხვადასხვა მავნე ზეგავლენისგან, მათ შორის, ყველამ ვიცით, რომ ხის ფესვები აკავებს ნიადაგს, ამცირებს ეროზიების რისკს და ხელს უწყობს ნაიდაგის საფარის აღდგენა-შენარჩუნებას. გარდა ამისა, ცნობილია, რომ შენობა-ნაგებობების გარშემო განთავსებული ხეები ჰაერის ხელოვნური კონდეცირების აუცილებლობას 30%-ით ამცირებს. ასევე, ცნობილია, რომ მრავალწლოვანი ხე 70-ჯერ მეტად ეწინააღმდეგება დაბინძურებას, ვიდრე ახალდარგული.

სამწუხაროდ, დღეს ურბანული დაგეგმარებისას ნაკლებად ექცევა ყურადღება ახალი სარეკრეაციო ზონების გამოყოფას და მათ შემდგომ განვითარებას, ხოლო ახალი კორპუსების ჩადგმისას, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას გამწვანების კოეფიციენტს. იგივე, დღეს მოქმედი „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27

მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად, გამწვანების კოეფიციენტი (კ3) აუცილებლად უნდა იქნას გამოანგარიშებული და დაცული სამშენებლო პროექტის შეთანხმების დროს. ხოლო სარეკრეაციო ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა დასვენებისათვის, მათი რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ თეორიულად მოიაზრება.

აღნიშნული მიმართულებით მოსახლეობის მოთხოვნითა და კომისიის აქტიური ჩარევით, რამდენიმე ტერიტორიას აღუდგა და/ან დაუბრუნდა სარეკრეაციო ზონის სტატუსი, მაგალითად: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, I მ/რ-ნში, გ. ბრწყინვალის ქ. №1 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს - მიენიჭა სარეკრეაციო ზონა (რზ) 2-ის სტატუსი; ასევე, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №25-ში მდებარე სამედიცინო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელსა და №27-ში არსებულ სკოლას შორის არსებულ მიწის ნაკვეთს - დაუბრუნდა სარეკრეაციო ზონა 1-ის სტატუსი და სხვ.

ფუნქციური ზონების ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის კომპეტენციიდან გამომდინარე, კომისიის სხდომაზე განხილული იქნა „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საკრებულოს დადგენილებების პროექტები (სულ: 4 პროექტი) და მათზე დართული განმარტებითი ბარათები. კომისიის სხდომებზე ფუნქციური ზონების ცვლილებებთან დაკავშირებით, დეტალურად განიხილებოდა ის წინადადებები, რომლებიც ეხებოდა სარეკრეაციო ზონების ცვლილებებს. კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. შინაური და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები (მიმართულება)

კომისიამ შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა აქტიურად მას შემდეგ დაიწყო, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეების მომართვებისა თუ მათთან შეხვედრების შედეგად შემდეგი ძირითადი პრობლემური საკითხები გამოიკვეთა:

ა) გაუმართავი სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა - ფაქტობრივად არ არსებობს მარეგულირებელი ნორმები, თუ არ ჩავთვლით იმ ნორმებს, რომელიც ზოგადად ეხება ცხოველთა საკითხებს და ხშირ შემთხვევაში, მკვდარ ნორმებად ითვლება;

ბ) უპატრონო ცხოველების (კატები, ძაღლები) პოპულაციების მართვის კონტროლის, ასევე მათი აღრიცხვიანობის არარსებობა;

გ) ადგილობრივი მუნიციპალური ცხოველთა თავშესაფრების სიმცირე (მხოლოდ ერთი) და კერძო თავშესაფრების საკითხის მოუწესრიგებლობა;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის შეთანხმებული, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების ეტაპობრივად გადაწყვეტა-მოგვარების ერთიანი სამოქმედო გეგმის არარსებობა;

ე) დაბალი მოქალაქეობრივი ცნობიერება - განსაკუთრებით ცხოველთა მეპატრონეების უპასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

ყველა ამ ძირითადმა პრობლემამ კომისიას ნათლად დაანახა, რომ საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რაც რამდენიმე მიმართულებით მოხდა:

1) კომისიის დებულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებით (დებულებაში ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-31 დადგენილების საფუძველზე) კომისიის კომპეტენცია მკაფიოდ ჩამოყალიბდა და მას შესაბამისი საქმიანობის წარმართვის საშუალება მიეცა.

   კერძოდ, ეს ცვლილება ითვალისწინებს:

   ა) საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას და/ან წარმოდგენილ პროექტებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენას;

   ბ) დედაქალაქში არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას და მისი გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრას;

   გ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიმართ საკრებულოს დამატებითი მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვას;

   დ) მოსახლეობაში აქტიური პროპაგანდის წარმოებას და მათ ჩართვას აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

2) კომისიისა და ცხოველთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობა აქტიურ რეჟიმში წარიმართა;

3) კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, დედაქალაქში შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვისა და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით, საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის წევრებმა, ასევე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოს (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს"), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, საქართველოს კინოლოგიური

ფედერაციისა და ცხოველთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

4) კომისია აქტიურად მონაწილეობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დაფუძნების პროცესში და შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით, 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების განხილვებისა თუ დაგეგმვის პროცესშიც აქტიურად იყო ჩართული.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან ერთობლივად განხილული პრიორიტეტული საკითხები:

➢ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ადგილმდებარეობა, რომელიც დღეს ქ. თბილისში, დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე არის განთავსებული და ამ ტერიტორიის მიმდებარე სოფლებისა თუ რაიონების მაცხოვრებლებს საკმაოდ დიდ პრობლემებს, მათ შორის ჯანმრთელობის პრობლემას უქმის. აღნიშნული საკითხი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივით, გარემოს დაცვის, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების მონაწილეობით, ერთობლივად იქნა განხილული. აღნიშნული სხდომის (21.1014წ.) გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანილი იქნა „ქ. თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; ხოლო, ამავე საკითხთან დაკავშირებით, იგივე კომისიების ერთობლივ სხდომაზე (10.11.14წ.) შედგა ქ. თბილისის მთავრობის წინადადებათა პაკეტის პრეზენტაცია ქ. თბილისში დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით;

➢ ასევე, დედაქალაქის წინაშე მწვავედ დგას ქ. თბილისის ტერიტორიაზე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის (მათ შორის ვიბრაციის) პრობლემაც, რომლის თაობაზეც იურიდიულ საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საქალაქო ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა (სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს როგორც მოქალაქეებმა, ასევე მოწვეულმა სპეციალისტებმა).

4. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, კომისიის სხდომებზე, კომპეტენციის ფარგლებში, განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები (სულ: 29 პროექტი) - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ვაცნობეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/დაწვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ვაცნობეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ვაცნობეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს, ყურადღება გამახვილდა შემდეგ ფაქტორებზე:

1) ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების და გაუმჯობესებისთვის (პროგრამის კოდი: 3) მთლიანად გამოყოფილია 73 440,6 ათასი (სამოცდაცამეტი მილიონ ოთხას ორმოცი ათას ექვსასი) ლარი, კერძოდ:

- გამწვანების ღონისძიებებზე (პროგრამის კოდი: 3.1) – 17 700, 0 ათასი (ჩვიდმეტი მილიონ შვიდასი ათასი) ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებებზე (პროგრამის კოდი: 3.2) – 52 000,0 ათასი (ორმოცდათორმეტი მილიონი) ლარი;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობისთვის (პროგრამის კოდი: 3.3) – 3 730, 6 ათასი (სამი მილიონ შვიდას ოცდაათი ათას ექვსასი) ლარი;
- თბილისის ზღვის გათევზიანებაზე (პროგრამის კოდი: 3.4) – 10, 0 ათასი (ათი ათასი) ლარი.

2) „ცხოველთა მონიტორინგი“ (პროგრამის კოდი: 9.2) - 2 914,0 ათას (ორი მილიონ ცხრაას თოთხმეტი ათასი) ლარი.

5. კომისიის სხდომის ფორმატში შედგა შეხვედრები:

➢ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან შემდეგ თემებზე:

1) „ეკორეგულირების ასოციაციისა“ და შპს „ქართული ტექნოლოგიების“ პროექტის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და მისი შემცირების გზების თაობაზე;
2) „საქართველოს გარემოს დაცვის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ (ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული ენერგეტიკის ხაზით);
3) დედაქალაქში ცხოველთა თავშესაფრებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე;
4) და სხვ.

6. კომისიის თანამონაწილეობით შედგა ბიოლის ფონდის პრეზენტაცია - თემაზე: „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების კუთხით დანიის გამოცდილების გაზიარების შესახებ“.

7. 2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბერის ჩათვლით კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კომისიაში შემოვიდა 76 განცხადება/წერილი, რომლებიც ძირითადად, დედაქალაქში შექმნილი მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას, ხე-მცენარეების მასობრივ მოჭრასთან დაკავშირებულ პრობლემებს და სარეკრეაციო ზონების აღდგენის, ასევე, ცხოველთა კერძო თავშესაფრების საკითხებს შეეხებოდა.

აქედან:

1) 37 განცხადება/წერილი - უშუალოდ გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, შემდგომი განხილვის მიზნით გადაგზავნილი იქნა შესაბამის ორგანოებში);
2) 31 განცხადება/წერილი - განხილული იქნა საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთობლივად და კომისიათა შეთანხმების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, გადაგზავნილი იქნა შესაბამის ორგანოებში;
3) 8 განცხადება/წერილი - კომისიაში შემოვიდა ცნობის სახით.

8. 2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბერის ჩათვლით კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბერის ჩათვლით, კომისიის მიერ, სხვადასხვა უფლებამოსილი ორგანოებიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია - 7 წერილი.

აქედან:

1) 6 წერილის საფუძველზე გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფა მოხდა;
2) 1 წერილის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ცხოველთა უფლებების დაცვის საერთაშორისო აქტების რატიფიცირებისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულაციების მიღების შესახებ, დღემდე არ არის მოწოდებული.

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის" წევრი (ფრაქციის მდივანი), 2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბერის ჩათვლით, დავესწარი ფრაქციის მიერ ჩატარებულ 14 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 81 საკითხის განხილვაში.

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარმა წევრმა მივიღე, განვიხილე და რეაგირება (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე), განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 230 განცხადება/წერილზე.

განხილული 230 განცხადება/წერილიდან:

1) სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა - 91 განცხადება/წერილი. დაკმაყოფილდა 23 განცხადება/წერილი. არ დაკმაყოფილდა - 68 წერილი/განცხადება.

2) მედიკამენტებით დახმარების თაობაზე გაეწია შუამდგოლობა 90 განცხადება/წერილს. დაკმაყოფილდა - 50, არ დაკმაყოფილდა 40 განცხადება/წერილი.

3) ინფრასტრუქტურის საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 35 განცხადება/წერილს. დაკმაყოფილდა - 12, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ადმინისტრაციული დაპირება გაიცა 23 განცხადება/წერილზე.

4) სხვა პრობლემატურ საკითხებზე - 14 წერილი/განცხადებაზე მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

II. 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე გაწეული სამუშაოები

❖ მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, განვახორციელე შემდეგი სამუშაოები:

- 2015 წლის 3 იანვრიდან დღემდე ჩატარებული იქნა კომისიის 27 სხდომა (აქედან სხვა კომისიებთან ერთობლივი - 12 სხდომა).

გარემოს დაცვის კომისიის 27 სხდომაზე, განხილული იქნა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული 61 საკითხი (მათ შორის, მოქალაქეთა წერილები და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტები).

♦ კომისიის პრიორიტეტები:

1. გამწვანების მიმართულება

გასული, 2014 წლის მსგავსად, დედაქალაქისათვის ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად დღემდე რჩება გამწვანება. ამ კუთხით, მიმდინარე წელსაც მრავალი პროექტი იქნა განხილული და განხორციელებული.

კომისიის მიერ განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 გადაწყვეტილების, მე-20 მუხლის თანახმად, საკრებულოს ბიუროსთან შესათანხმებლად წარმოდგენილი პროგრამები, რომელიც ეკოლოგიისა და გამწვანების პროგრამის (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 3.1) ფარგლებში იქნა განხორციელებული. ამ მიმართულებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანამდე (რომლის საფუძველზეც, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ნორმატიული აქტიდან ამოღებული იქნა მე-20 მუხლი), კომისიამ განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ

წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების (კოდი: 3.1) პროექტები - სულ განხილული იქნა 35 პროექტი.

ამ პროექტებიდან აღსანიშნავია:

თბილისის დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ჩასატარებელი ღონისძიებების ტექნიკური ზედამხედველობისა და, ასევე, დენდროლოგიურ პარკში ხე-მცენარეების საგაზაფხულო და საშემოდგომო დარგვებისა და ვეგეტაციის პერიოდის დასრულებამდე მოვლის მომსახურების პროგრამები (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 3.1).

გარდა ზემოაღნიშნული პროექტებისა, კომისიამ განიხილა ორი საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომსახურების განხორციელების თაობაზე" და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლის შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ვაცნობეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კერძოდ:

1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, 10 000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა ავარიული ხე-მცენარეების, ასევე ძლიერი ქარის თუ სხვა საგანგებო შემთხვევებში, ხე-მცენარეებისგან გამოწვეული საფრთხის სალიკვიდაციო ღონისძიებები;

2) მიმდინარე წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად, უსაფრთხოების მიზნით, პრევენციული ზომების გასახორციელებლად მოხდა აუცილებელი ნალექმზომი და წყლის დონის მზომი სპეციალური ტექნიკის შემენა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო მონაცემთა შეკრებას მოსალოდნელი ნალექის შესახებ და წყლის დონის განსაზღვრას. გაცემული წერილობითი თანხმობის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა შემდეგი სპეც.ტექნიკის შემენა და შემდგომ, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მათი მონტაჟი:

- წყლის დონის მზომი სადგური (3 ერთეული);
- ნალექმზომი სისტემა (4 ერთეული);
- GSM/Modem ანტენით (15 ერთეული);
- დატალოგების ყუთი (15 ერთეული);
- მზის პანელი 30 ვტ. სამაგრით (4 ერთეული);

- დამტენი მოწყობილობა (4 ერთეული).

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წელს, გამწვანების მიმართულებების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო ხეების სხვლა-ფორმირებისა და გადაბელვის საკითხი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პრობლემა, მათ შორის, ერთიანი წესის არარსებობა, რომლის თანახმადაც მოხდებოდა ხეების სხვლა-ფორმირება და გადაბელვა და, ასევე, გადაბელვის თუ სხვლა-ფორმირების დროს დაშვებული შეცდომები და არაპროფესიონალიზმის გამო ხეების ფუნქციის მოშლა.

ზუსტად ამ მიზნით, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, კომისიამ განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, დანართი 4-ის სახით დამატებული იქნა „ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი".

აღნიშნული ცვლილების ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალაქის პირობებში, დედაქალაქის ტერიტორიაზე ჯანსაღი ხეების შენარჩუნება. ხეების სხვლა-ფორმირების ერთიანი წესის შემოღებამ ჩაანაცვლა აქამდე არსებული გადაბელვის მახინჯი და მავნე პრაქტიკა.

კომისიის მიერ განხილულია და დადებითად შეფასებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საფუძველზე წარმოდგენილი დანართი 4 - „ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესის" შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-22 დადგენილებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქტიურ რეჟიმში წარიმართა დედაქალაქის გარემოსდაცვით სტრატეგიაზე მუშაობა, რომლის შემუშავების პროცესშიც, როგორც გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე, აქტიურად ვიყავი ჩართული. მრავალთვიანი და შრომატევადი სამუშაო შეხვედრების შემდეგ, - რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტ-სპეციალისტები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი პირები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების

წარმომადგენლები, - შემუშავებული და საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის“ პროექტი.

ჩემი ხელმძღვანელობით, გარემოს დაცვის კომისიამ იმოქმედა რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 წ.წ.“ განიხილა საჯაროობისა და გამჭირვალეობის პრინციპების სრული დაცვით. კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის“ პროექტი განხილული და დამტკიცებული იქნა საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №23-93 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 წლებისათვის“ პასუხობს შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხორციელება უნდა მოხდეს თბილისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელშიც შევა კონკრეტული ღონისძიებები, შემსრულებლები და დაფინანსების წყაროები სტრატეგიული მიმართულებების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სტრატეგიის მონიტორინგი და განახლება ხდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ.

გამწვანების მიმართულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სარეკრეაციო ზონების საკითხი. როგორც წინა წლებში, ასევე მიმდინარე, 2015 წელს მწვავედ დგას ურბანული დაგეგმარებისა და მშენებლობების მიზნით მწვანე საფარის, განსაკუთრებით ხე-ნარგავების განადგურების პრობლემა, რომლის თაობაზეც კომისიაში მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოტანილი არაერთი წერილი თუ განცხადება მეტყველებს. მაგალითად: ასათიანის ქ. №10, თამარაშვილის ქ. №13-სა და ზალდასტანიშვილის ქუჩაზე დაფიქსირებული ხეების უკანონო ჭრა, რომელზეც შესაბამისი ადგილობრივი სამსახურების მხრიდან ოპერატიულად მოხდა რეაგირება და შესაბამისი დოკუმენტები, საქმის შედგომი მოკვლევისთვის გადაეცა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. აღნიშნულ პრობლემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული დედაქალაქის ტერიტორიებისთვის ფუნქციური ზონების ცვლილება, შემდგომი განვითარების (ხშირ შემთხვევაში, მშენებლობის) მიზნით.

ფუნქციური ზონების ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის კომპეტენციიდან გამომდინარე, კომისიის ხდომაზე განხილული იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და მათზე დართული განმარტებითი ბარათები (სულ: 20 პროექტი).

კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ არგუმენტირებული დასაბუთების და/ან დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული წინადადებების/პოზიციების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კომისიის მიერ, 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე უარი ეთქვა 13 წინადადებას ფუნქციური ზონის (რზ-ს) ცვლილების თაობაზე.

- დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობისა და გამწვანების საკითხებთან დაკავშირებით მოსმენილი იქნა ინფორმაციები:

1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ 2014 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის თაობაზე.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება დაგეგმილი იქნა 67 527 000 (სამოცდაშვიდი მილიონ ხუთას ოცდაშვიდი ათასი) ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 63 766 500 (სამოცდასამი მილიონ შვიდას სამოცდაექვსი ათას ხუთასი ლარი), ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94%-ი, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9%.

აღნიშნული დაფინანსებიდან, ეკოლოგიისა და გამწვანების მიმართულებით, 2014 წლის გეგმა შეადგენდა 14 127 000 (თოთხმეტი მილიონ ას ოცდაშვიდი ათასი) ლარს, ხოლო დაფინანსდა 12, 599, 800 (თორმეტი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი ლარით), რაც გეგმის 89.2%-ია, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეადგენს 91,2%-ს.

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ხორციელდებოდა და ხორციელდება:

- ქალაქში არსებული მწვანე ზოლების, ბაღ-პარკების მოვლა-პატრონობა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, ხე-ბუჩქების ფორმირება, გამწვანებული ტერიტორიების შევსება ნერგებით, რეკულტივატორით ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა;
- გამწვანებული ზოლებში შადრევნების მოვლა-პატრონობა;
- ხეების გადაბელვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-დამუშავება და გატანა, მოჭრილი ხის კუნძების ამოღება და გატანა;
- გამწვანებული ზოლების სარწყავი სისტემის აღდგენა რეკონსტრუქცია და ახალი სარწყავი სისტემის მოწყობა;
- ურბანული ავეჯის (ფურნიტურის) აღდგენა-განახლება;
- ბავშვთა სათამაშო ატრაქციონების შესყიდვა-მონტაჟი;
- სავარჯიშო მოწყობილობების შესყიდვა-მონტაჟი, კაუჩუკის საფარიანი მოედნების მოწყობა;
- სხვადასხვა ტერიტორიებზე ბაღ-სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მწვანე თარგების მოწყობა;
- სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეების დარგვა;
- სკვერების მოწყობა აღდგენითი სამუშაოები;
- თბილისში და მის შემოგარენში არსებული ნარგავების ფიტოსანიტარული გამოკვლევის, მავნებელ დაავადებათა შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება.

2014 წლის საშემოდგომო სამუშაოების შედეგად მოხდა აღმაშენებლის ხეივნის, დიღმის ტყე-პარკის, გლდანის ნაგავსაყრელის, ხუდადოვის ტყის, ვარკეთილის ტერიტორიის (შუა ზოლის), ვერის ბაღის ტერიტორიის, 159-ე ბაგა-ბაღის მიმდებარე ფართობის, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების ხე-ნარგავებით განაშენიანება (სულ დარგულია 19 500 ცალი ნერგი).

2014 წელს განხორციელებული პროგრამა მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის შესახებ, 2015 წელს ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის პროგრამებიდან ამოღებული იქნა, რადგან „სოციალური ჭრა" დედაქალაქში არსებულ მწვანე ნარგავებზე მავნედ ზემოქმედებს, დიდ ზიანს აყენებს გარემოს და ამასთანავე, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა რაიონულმა გამგეობებმა უნდა განახორციელონ შესყიდვის გზით.

ანგარიშის მოსმენისას, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა წარმოადგინა იმ პროგრამების პროექტები, რომელიც 2015 წლის განმავლობაში უნდა გახორციელდეს, მათ შორის, სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ტერიტორიებზე ნერგების დარგვის თაობაზე. ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 32 000 ნერგის დარგვა. თუმცა, აღინიშნა ისიც, რომ თუ

სამსახურის მიერ შესაძლებელი იქნება (იგივე ტენდერების მეშვეობით) ეკონომიის გაწევა და თანხების დაზოგვა, დანაზოგით შესაძლებელი გახდება ახალი ნერგების შესყიდვა და მათი სკოლების ტერიტორიაზე დარგვა.

ასევე, ყურადღება გამახვილდა მიმდინარე წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის ხე-ნარგავების გადაცემის საკითხზეც. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებმა წერილობით უნდა მიმართონ რაიონულ გამგეობებს და შემდეგ კი, ინფორმაცია გადაეცემა საქალაქო სამსახურს. სავარაუდოდ, ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება 7-8 ურბანული ჯიშის ნერგის სხვადასხვა რაოდენობით შესყიდვა და შემდგომი დარგვის მიზნით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემა.

წარმოდგენილი სტატისტიკური ანალიზის თანახმად, 2009-2013 წლებში სულ დარგულია 49 035 ნერგი, ხოლო 2014 წლის შემოდგომიდან - 2015 წლის გაზაფხულის ჩათვლით სეზონზე განხორციელებული დარგული ხეების რაოდენობა შეადგენს 132, 324-ს.

ყურადღება გამახვილდა 2015 წლის მიმდინარე სამუშაოებზეც. კერძოდ, 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე ხორციელდება შემდეგი ტერიტორიების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები:

- 100 000 კვ.მ დიღმის ტყე-პარკი
- 124 000 კვ.მ წყნეთი, წავკისი, ტაბახმელას ტერიტორიაზე: ბაღ-სკვერები, ტყე-პარკები
- 60 000 კვ.მ ზემო ვეძისის ფერდობები
- 30 000 კვ.მ ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორია
- 60 000 კვ.მ კუს ტბის გამწვანებული ფერდობი
- 320 000 კვ.მ ზღვის უბნის გამწვანებული ტერიტორია
- 80 000 კვ.მ მთაწმინდა-ოქროყანის გამწვანებული ტერიტორია
- მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების გამწვანებული ტერიტორია
- აეროპორტის ტრასა და მიმდებარე გამწვანებული ტერიტორიები

ანგარიშის მოსმენის დროს ყველაზე მწვავე პრობლემაზე - დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი წიწვოვანი ჯიშის (განსაკუთრებით, შავი ფიჭვის) ხეების მასობრივ გახმობაზე - გაკეთდა აქცენტი.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, ა/წლის აგვისტოს თვეში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე 10 000 ძირი ზეხმელი, ხმელი, ავარიული და დაავადებული ხის მოჭრის მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი - იგეგმებოდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე ხმელი და ავარიული ხე-მცენარის მოჭრა, მოჭრილი ხის მასის დაკოტრა და დასაწყობება, შემდეგ კი, იმავე ტერიტორიაზე

ახალი ნერგების დარგვა. აღნიშნული ელექტრონული ტენდერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის" თავმჯდომარემ ანა გაბრიაძემ გაასაჩივრა ტენდერების დავის საბჭოში, რომელმაც საჩივარი ნაწილობრივ (მხოლოდ ერთ, ტენდერის ტექნიკურ დავალებაში დაშვებული შეცდომის ეპიზოდში) დააკმაყოფილა. აღნიშნულის შედეგად, ამ ეტაპზე, საშემოდგომო ჩანაცვლებითი დარგვები ვერ განხორციელდება, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, არა და, მოჭრილი ხეების სანაცვლოდ, იგივე ტერიტორიაზე ნოემბერ-დეკემბრის თვეში ახალი ნერგების დარგვა უფრო ეფექტიანი იქნებოდა.

ხაზგასასმელია ის დადებითი ტენდენციები, რაც 2015 წელს, სამსახურის მიერ ოთხი დიდი პროექტის სახით განხორციელდა. ეს პროექტებია:

- ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №№7-7ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩაზე არსებული ხეივნის მოწყობის სამუშაოები;
- წინანდლის შეს. №1-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოები;
- ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორპ. №№22-23-ს მიმდებრედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოები.

2) გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიში ა/წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამომწვევი მიზეზებისა და შემდგომი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

კომისიის სხდომის ფორმატში, ა/წლის 27 ივლისს, მოსმენილი იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სსიპ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის, ქალბატონი თამარ ბაგრატიას მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2015 წლის 13-14 ივნისს, ქ. თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამომწვევი მიზეზებისა და სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში განხილული იქნა მდ. ვერეს აუზში სტიქიური პროცესების სტატისტიკური მონაცემები და 2015 წლის 13-14 ივნისის კატასტროფის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. მდინარე ვერეს აუზში წყალმოვარდნები ძირითადად, საშუალოდ, 20 წლიანი ინტერვალით მეორდება, რასაც ადამიანთა მსხვერპლი და ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად უდიდესი ზარალი მოსდევს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მდინარე ვერეს ადიდება და წყალმოვარდნები შემდეგი ინტერვალით არის დაფიქსირებული: 1924 წლის 12 ივნისი, 1940 წლის 10 მაისი, 1960 წლის 4 ივლისი, 1961 წელი, 1972 წელი, 1980 წლის 13 მაისი, 1999 წლის 28 აგვისტო, 2002 წლის 15 ოქტომბერი, 2015 წლს 3 ივნისი და 13-14 ივნისი. როგორც სტატისტიკური ანალიზით ირკვევა, მდ. ვერეს აუზში წყალმოვარდნების, ღვარცოფებისა

და მეწყერების მთავარი გამომწვევი ფაქტორია უხვი ატმოსფერული ნალექი და ზედართული გეოლოგიური გარემოს მაღალი მგრძნობელობა.

მდ. ვერეს აუზში სტიქიური უბედურების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა გახორციელდეს შემდეგი პრევენციული ღონისძიებები:

- სწრაფი შეტყობინების თანამედროვე სისტემების დანერგვა;
- ნალექზომებისა და ჰიდროლოგიური საგუშაგოების მოწყობა;
- საშიშროების, რისკის ზონიდან მოსახლეობის გასახლება და ტერიტორიის დამაბრკოლებელი შენობა-ნაგებობებისგან გათავისუფლება;
- მდ. ვერეს აუზის აერო-გადაღება, მონიტორინგული დაკვირვებები, მეწყერული სხეულის გაწმენდა და საავტომობილო გზების ალტნერნატიული ვარიანტების შერჩევა;
- კალაპოტის განივი კვეთის პარამეტრების გაგანიერება, ბარჯების მოწყობა და თამარაშვილის ქუჩის გვირაბის დამოკლება დასაშვებ სიგრძემდე;
- ცხაურის ტიპის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აშენება (შემაკავებელი ფუნქციის მიზნით);
- და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული ინფორმაციისა, ანგარიში გაკეთდა სააგენტოს მიერ ჩატარებული ჰაერის, ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევის შედეგების შესახებაც.

აღნიშნული კვლევების, 2015 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, მტვრის მაქსიმალური მოცულობა დაკვირვებების 81%-ში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ ერთჯერად კონცენტრაციას. პერიოდულად აღინიშნება ნახშირჟანგის მომატებული შემცველობა, რაც შეადგენს 14%-ს. შესწავლის შედეგად განისაზღვრა შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტები: მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი, ოზონი და ტყვია.

სააგენტოს უფროსის, ქ-ნი თ. ბაგრატიას განმარტებით, სააგენტო ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს ატმოსფერულ ჰაერში გამა-გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის გაზომვას. მიღებული მონაცემების ანალიზით, თბილისში რადიაციული დაბინძურება ბუნებრივი ფონის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ზედაპირული წყლების დაბინძრების დონეს, დაკვირვებები მიმდინარეობს მდ. მტკვრის 3 კვეთაში - ზაჰესში, ვახუშტისა და მეტეხის ხიდებთან. სინჯების აღება ასევე დაიწყო მდ. დიღმულაზე, ვერესა და გლდანულაზე. სინჯების ანალიზების შედეგად დგინდება, რომ მდ. მტკვარი და ზემოთ ჩამოთვლილი მცირე მდინარეები (განსაკუთრებით, მდ. ვერე) დაბინძურებულია ამონიუმის აზოტით, რაც გამოწვეულია მდინარეებში გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვებით. ასევე, სააგენტოს მიერ ჩატარებული ტბებისა (კუს და

ლისი ტბები) და სამგორის ხელოვნური წყალსაცავის (ე.წ. „თბილისის ზღვის“) ხარისხის კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტბებში (კუს და ლისის ტბები) აღინიშნება ამონიუმის კონცენტრაციის, სულფატებისა და კალციუმის მატება დასაშვებ ნორმაზე მეტად, რაც ფონურ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

2. შინაური და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები (მიმართულება)

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დედაქალაქის წინაშე უკვე მრავალი წელია მწვავედ დგას შინაურ და უპატრონო ცხოველებთან (ძაღლები და კატები) დაკავშირებული პრობლემები. არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, კომისიამ აქტიური მუშაობა დაიწყო 2014 წლიდან და 2015 წლის დასაწყისიდან, იგივე რეჟიმში, გააგრძელა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ამ მიმართულებით, კომისიის ეგიდით 2014 წლის ნოემბრის თვეში „ცხოველთა მოვლა-პატრონობის საკითხებთან დაკავშირებით“ შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის კომისიის წევრებმა, ასევე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, საქართველოს კინოლოგიური ფედერაციისა და ცხოველთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრების ფორმატში განხილული იქნა ის საკითხები (პატრონიანი, ასევე უპატრონო ცხოველების პოპულაციების მართვისა და მოვლა-პატრონობის, უპატრონო ცხოველთა ერთიანი მონაცემების ბაზის შექმნის, ცხოველთა მუნიციპალური და კერძო თავშესაფრების მოწყობა-ფუნქციონირების შესახებ), რომლებიც შემდგომ აისახა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესში“.

რამდენიმე თვიანი შრომატევადი სამუშაო შეხვედრების შედეგად, შემუშავდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის“ პროექტი.

კომისიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დაიცვა საჯაროობის პრინციპი და მაქსიმალურად უზრუნველყო სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცესში, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა.

გარემოს დაცვის კომისიის ინიციატივით ცხოველთა მოვლა-პატრონობის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ორი შეხვედრა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთი შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 28 იანვარს, 11 მარტს და 19 მარტს.

კომისიის ა/წლის 1-ლი აპრილის სხდომაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გარემოს დაცვის კომისიის წევრების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს", შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი", რომელიც დამკიცებული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-28 დადგენილებით.

ზემოაღნიშნული წესის მიზანს წარმოადგენს ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა-მართვა.

ამ წესის ამოცანებია:

ა) პატრონაჟის, ზედამხედველობისა და ცხოველების მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით მათი კლასიფიკაცია;

ბ) ცხოველებთან მოპყრობის ჰუმანური მეთოდების დანერგვა;

გ) ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლი, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ჰუმანური მეთოდების გათვალისწინებით;

დ) საიმედო და უსაფრთხო ზოოანთროპონოზური, განსაკუთრებით რაბიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ე) ურბანულ გარემოში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგების ხელშეწყობა.

დამტკიცებული წესის შესაბამისად, მკაფიოდ განისაზღვრა ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველთა სტატუსი; ჩამოყალიბდა ურბანულ გარემოში ბინადარი პატრონიანი და მიკედლებული ცხოველის რეგისტრაციის, ასევე, ცხოველის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმები; განისაზღვრა ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის ზოგადი სტანდარტები და სხვ.

აქვე აღსანიშნავია, რომ კომისია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის მარეგულირებელი ნორმების მიღებით არ შემოიფარგლა. ა/წლის

20 აპრილს წერილით (№04-3/667) მიმართა ქ. თბილისის მთავრობას და სთხოვა, საზოგადოების იმ ნაწილის მიერ, რომლებსაც საკუთრებაში ჰყავთ ცხოველები (ძაღლები და კატები), წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, შესაბამისი საქალაქო სამსახურების მონაწილეობით, 2015 წლის ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოფილიყო სხვადასხვა ღონისძიებები, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას აუცილებლად გათვალისწინებული იქნას შესაბამისი პროგრამები და მათი განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსება. კერძოდ:

- პირველ ეტაპზე, თუნდაც საპილოტე პროექტების განხორციელებით, დედაქალაქის ყველა რაიონში ცხოველის გასასეირნებელი სპეციალური ტერიტორიების მოწყობა შესაბამისი ინსფრასტრუქტურით;
- ცხოველის (ძაღლის, კატის) სიკვდილის შემთხვევაში შემდგომი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა (ცხოველის გვამის დამარხვა საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ან კრემაცია, ან მოთავსება ბიოთერმულ ორმოში); საამისოდ ტერიტორიების მოძიება და კრემატორიუმის მოსაწყობად სათანადო ზომების მიღება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით ცხოველის გადაყვანისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- და სხვ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ კომისიას ეცნობა, რომ გასატარებელ ღონისძიებათა (2015-2016 წ.წ.) ჩამონათვალში გათვალისწინებულია:

1) ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარის რეკონსტრუქცია, მისი გამტარუნარიანობის ამაღლების მიზნით;
2) მასობრივი სტერილიზაცია-კასტრაციის მიზნობრივ პროგრამაზე გათვლილი ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა;
3) ცხოველთა გასასეირნებელი ადგილებისათვის ტერიტორიების გამოყოფა და საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
4) ძაღლების მისაბმელი ტურნიკეტების მოწყობა იმ ობიექტებთან, სადაც აკრძალულია ცხოველის შეყვანა;
5) ქალაქის გარეუბანში 0.5 ჰა ფართობის გამოყოფა, ცხოველების სასაფლაოს მოსაწყობად;
6) კრემატორიუმის შეძენა;
7) საზოგადოებრივ ადგილებში სპეციალური ურნების (ცხოველების ექსკრემენტებისათვის) დამონტაჟება.

3. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, კომისიის სხდომებზე, კომპეტენციის ფარგლებში, განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- „სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- “ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის №18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი) - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობებისა და თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებების დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე (სულ: 3 პროექტი) - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები (სულ: 5 პროექტი) - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების წერილები და განცხადებები - სულ: 6 წერილი/განცხადება, - რომლებზეც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სათანადო რეაგირება მოხდა.

4. კომისიის სხდომის ფორმატში შედგა შეხვედრები:

- მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან:

1) დედაქალაქში ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვისა და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე;

2) დედაქალაქის ტერიტორიაზე ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის თაობაზე;

3) ქ. თბილისში, სამგორის რაიონის სხვადასხვა უბნებში არსებული პრობლემატური (საკანალიზაციო და წყალმომარაგების ქსელების არარსებობის და/ან გაუმართაობის გამო მძიმე ეკოლოგიური და სანიტარულ-ეპიდემიური მდგომარეობის შესახებ) საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

5. კომისიის ინიციატივით:

1) 2014-2015 წლებში, დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე (დიდი დიღომი, ხუდადოვის მიმდებარე ტერიტორია და სხვ.), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ ჩატარებულ საშემოდგომო და საგაზაფხულო ნერგების დარგვის აქციაში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა.

2) მსოფლიოს გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის („საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო", საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი" და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა") ორგანიზებით, 2015 წლის 18,19,20,21 სექტემბერს ჩატარებულ კამპანიაში „დავასუფთაოთ მსოფლიო! დავასუფთაოთ საქართველო!" კომისიის ინიციატივით მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა.

6. 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიაში განსახილველად შემოსული წერილები/განცხადებები

2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიაში შემოვიდა 94 განცხადება/წერილი, რომლებიც ძირითადად, დედაქალაქში შექმნილ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას, ხე-მცენარეების მასობრივი ჭრის, ფუნქციური - სარეკრეაციო ზონების (დიღმის ტყე-პარკის)

სამართლებრივ და, ასევე, შინაური და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა.

აქედან:

1) 37 განცხადება/წერილი - უშუალოდ გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, შემდგომი განხილვის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის ორგანოებში);

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დიღმის ტყე-პარკის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციის „უსაფრთხო სივრცის" თავმჯდომარის ა. გაბრიაძის №759 წერილი (16.01.15წ.), შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად გადაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხი უცნობია.

2) 40 განცხადება/წერილი - განხილული იქნა საკრებულოს სხვა კომისიებთან ერთობლივად და კომისიათა შეთანხმების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის თანახმად, გადაიგზავნა შესაბამის ორგანოებში;

3) 17 განცხადება/წერილი - კომისიაში შემოვიდა ცნობის სახით.

7. 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე კომისიის მიერ, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები - 19 წერილი, მათ შორის, დედაქალაქის ტერიტორიაზე ნებართვის საფუძველზე, ასევე უკანონოდ (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ნებართვის გარეშე) მოჭრილი ხეების დისლოკაციისა და რაოდენობის შესახებ; მუნიციპალიური ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და, ასევე, ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლების შესახებ და სხვ.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ, 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე ჩატარებული 21 სხდომიდან მონაწილეობა მივიღე 13 სხდომაში, როგორც კომისიის წევრმა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და 2015 წლის ბიუჯეტში ჩადო ორი პროგრამა:

1) შინმოვლის პროგრამა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სამ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ხორციელდება თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული საწოლს ან სახლს მიჯაჭვული ადამიანების დახმარება-შინმოვლა.

პროგრამის მთავარი მიზანია თბილისში შინმოვლის პაციენტების და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური შინმოვლის მომსახურების მიწოდებით. შინმოვლა გულისხმობს პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი), მათი დამოკიდებულებისა და დაკარგული უნარ-ჩვევების შენარჩუნება/აღდგენას, რესურსებისა და უნარების გამოვლენას და ფსიქო-სოციალურ დახმარებას.

2) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამა.

- მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის” წევრი (ფრაქციის მდივანი), 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე, დავესწარი ფრაქციის მიერ ჩატარებულ 21 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 125 საკითხის განხილვაში.

- მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი, ვაშლიჯვარი) მაჟორიტარი წევრი სისტემატიურად ვხდები საბურთალოს რაიონის (დიდი დიღმის, სოფელი დიღმის, ვაშლიჯვრის) მოსახლეობას. მოსახლეობასთან ადგილზე შეხვედრისათვის გამოყოფილია კვირაში ერთი, ოთხშაბათი დღე, მაჟორიტარის ბიუროს ოფისში (მისამართი: ქ. თბილისის, პეტრიწის ქ. №8).

2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ოთხშაბათობით მოსახლეობასთან შეხვედრის ფორმატში, 2015 წლის 14 იანვრიდან დღემდე შედგა 35 შეხვედრა, სადაც 615-მა მოქალაქემ მომმართა მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში დახმარების თხოვნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის რანგში მივიღე, განვიხილე და რეაგირება - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე, - განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 168 განცხადება/წერილზე.

განხილული 168 განცხადება/წერილიდან:

1) სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა - 109 განცხადება/წერილი. დაკმაყოფილდა - 36 განცხადება/წერილი. არ დაკმაყოფილდა - 71 წერილი/განცხადება, განხილვის პროცესშია - 2.
2) ინფრასტრუქტურის საკითხებზე გაეწია შუამდგომლობა 25 განცხადება/წერილზე. დაკმაყოფილდა - 10, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ადმინისტრაციული დაპირება (ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში სათანადო სამუშაოების განხორციელების შესახებ) გაიცა 15 განცხადება/წერილზე.
3) სხვა პრობლემატურ საკითხებზე - 34 წერილი/განცხადებაზე მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

➢ ჩემი ინიციატივით:

1) ა/წლის 17 იანვარს ჩატარდა საქველმოქმედო აქცია დიდი დიღმის მუნიციპალიტეტში (დიდი დიღომი, ვაშლიჯვარი, სოფელი დიღომი, პატარა დიღომი) მცხოვრები ქალბატონებისათვის, რომლებსაც „იმედის" კლინიკაში ჩაუტარდათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები და შესაბამისი კონსულტაციები გაეწიათ.

2) განხორციელდა:
ა) ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდის გზაგამტარის (ე.წ. მუხათგვერდის ხიდის) კაპიტალური რეაბილიტაცია, რომელიც წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა;
ბ) ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, თინათინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები (შეკეთდა გზის საფარი და მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა);

3) საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, სოფელ დიღომში, პატარა დიღომსა და ვაშლიჯვრის ტერიტორიებზე განხორციელდა გზების კაპიტალური და ორმოული შეკეთების სამუშაოები. კერძოდ:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ გზის საფარი ორმოულად შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, ვაშლიჯვრის მისასვლელი გზა, დ. თავდადებულის ქუჩა, მირიან მეფის ქუჩა, დიღომი 7 შესასვლელის გზა - სულ: 5 ობიექტი.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ:

- ორმოულად შეკეთდა (ასევე, მოეწყო ბორდიურები, ჭები და სხვ.) გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: მირიან მეფის ქუჩა; გოძიაშვილის ქუჩა; გუდვილის მიმდებარე გზა; პეტრიწის ქუჩა; ფარნავაზ მეფის ქუჩა; ფარნავაზ მეფის ქუჩის გაგრძელება; ფარნავაზის

ქუჩა (ავტოსერვისთან - №26 ელექტრობომთან); ვაშლიჯვარში - ვალენტი თოფურიას ქუჩა, ვ. გომიაშვილის №14-იდან ვაშლიჯვრის დასახლება №13 კორპუსის მიმდებარე გზა; ვაშლიჯვარში - ვალენტი თოფურიას ქუჩა, ვაშლიჯვრის დასახლება №13-დან ვაშლიჯვრის დასახლება №12ა კორპუსამდე; ვაშლიჯვარში - ვასო გომიაშვილის ქუჩა; ვაშლიჯვრის დასახლება მე-3 ზონა, №7ა და 7ბ კოპრუსებთან; გომიაშვილის მე-2 შესახ. №10, №70 ბაგა-ბაღის მისასვლელი გზა; პეტრე იბერის ქუჩა; პეტრიწის 8ბ-ს მიმდებარედ (186-ე სკოლასთან მისასვლელი გზა); მირიან მეფის ქუჩის მიმდებარე გზა; ფარანავაზ მეფისა და პეტრიწის ქუჩების კვეთის მიმდებარე გზა; აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრის (პატარა დიღმის ჩასახვევი) მიმდებარე გზა; დ/დიღომში, მე-4 მ/რ, №8 კორპუსის მიმდებარე გზა (ბორდიურები); დ/დიღომში მე-3 მ/რ, №10 კორპუსის მიმდებარე გზა (ბორდიური); დიდი დიღომში - გუდვილის მიმდებარე გზა; ფარნავაზ მეფის ქუჩა; მირიან მეფის ქუჩაზე შუქნიშნიდან მოედნამდე - სულ: 24 ობიექტი;

- კაპიტალურად შეკეთდა გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: დ/დიღომში, მე-3 მ/რ-ის №1 კორპუსი; დ/დიღომში, მე-3 მ/რ-ის №37 კორპუსი; გომიაშვილის ქ. №67 კორპუსი; ვაშლიჯვარში, გომიაშვილის ჩიხი; დ/დიღომში, პეტრე იბერის I შესახვევი; ვაშლიჯვარში, გომიაშვილის ქ. №13 და №13ა; ვაშლიჯვარში, მე-2ა ზონა, №3 კორპუსი; დ/დიღომში, პეტრიწისა და თავდადებულის ქუჩების შემაერთებელი ბილიკი; დ/დიღომში, მირიან მეფის ქ. №15; დ. აღმაშენებლის მე-8 ჩასახვევი, ფერაძის ქუჩამდე; დ. აღმაშენებლის ხიევანი, მე-8 კილომეტრის მიმდებარე გზა; ფერაძის ქ. №2, №10 კორპუსის ეზო; სოფ. დიღომში, მირიან მეფის ქუჩის მიმდებარედ არსებული გრუნტის საფარიანი ქუჩები (მოხრეშვის სამუშაოები); გომიაშვილის ქუჩა, №93 კორპუსიდან №95 კორპუსის მიმდებარედ გზა და ეზო; მარშალ გელოვანის №4-ში არსებული ეზო; იოანე პეტრიწის ქუჩა, №6 კორპუსის ეზო - სულ: 17 ობიექტი.

4) მოსახლეობისათვის მოეწყო სკვერები, მათ შორის:

ა) დიდ დიღომში - 4 სკვერი;

ბ) სოფელ დიღომში - 1 სკვერი;

გ) ვაშლიჯვარში - 1 სკვერი.

5) 2015 წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სოფელ დიღომსა და ვაშლიჯვარში არსებული სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი:

1) აქტიურად ვარ ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საქმიანობაში, საბურთალოს რაიონის (დიდი დიღომი, სოფელი დიღომი და ვაშლიჯვარი) პრობლემური საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში. გამგეობის წარმომადგენლებთან (გამგებელი, გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირები) ერთად, ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ვისმენ ინფორმაციებს (ანგარიშს) გამგეობის მიერ განხორციელებული სამუშაოებისა და მომდევნო თვის სამუშაო გეგმების შესახებ.

აღნიშნულ ფორმატში დავესწარი გამგებელთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს შეხვედრებს (2 შეხვედრა).

2) პერმანენტულად ვახორციელებ მონიტორინგს (თვეში ერთხელ მაინც), ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, პატარა დიღომში, სოფ. დიღომსა და ვაშლიჯვარში, სოციალურად დაუცველი პირებისათვის გახსნილი უფასო სასადილოების მომსახურებაზე.

3) წყალმომარაგების საკითხებთან დაკავშირებით აქტიურად ვთანამშრომლობ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან" (GWP). ამ ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე, დიდი დიღმის, სოფელი დიღმის, პატარა დიღმისა და ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე განხორციელდა საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და აღდგენა-რეაბილიტაცია.

- მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 2015 წლის იანვრიდან დღემდე, საკრებულოს მიერ ჩატარებული 25 სხდომიდან დავესწარი 24 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 481 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქედან, 101 დადგენილების და 380 განკარგულების პროექტის) განხილვა-მიღების პროცესში.
- ჩემს მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები:

1) აქტიურად ვარ ჩართული ქ. თბილისის ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის საქმიანობაში, მათ შორის, ცხოველთა დაცვის ეგიდით გამართულ სხვადასხვა აქციებში, მაგალითად, ლეკვებისა და კნუტების გაჩუქების აქციებში, რომელიც პერმანენტულად ტარდება. სისტემატიურად ვახორციელებ ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის მონიტორინგს, ვისმენ ინფორმაციებს (ანგარიშს) განხორციელებული სამუშაოების შესახებ და სხვ.

2) აქტიურად ვთანამშრომლობ ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციასთან. პერმანენტულად ვეცნობი ინფორმაციებს (ანგარიშს) ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის მიერ გახორციელებული სამუშაოების, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ და სხვ.

3) სისტემატიურად ვაწყობ შეხვედრებს სსიპ ქ. თბილისის №186 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ "დელტა"-ს წევრ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.

4) აქტიურად ვარ ჩართული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და აქციებში, მათ შორის, ყვავილებისა და მცენარეების და სხვადასვა გამოფენა-კონკურსებში; 13-14 ივნისის სტიქიური მოვლენის გამო დაზარალებულთა მხარდასაჭერად გამართული საქველმოქმედო აქციაში; საქველმოქმედო მარათონებში; დიდგორობის დღესასწაულისა და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში; თბილისის საკრებულოს მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და სხვა.

5) აქტიურად ვთანამშრომლობ მას-მედიის წარმომადგენლებთან, რადგან მიმაჩნია, რომ დედაქალაქის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს ჩართული. ამ მიზნით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს, მრავალ ტელე და რადიო გადაცემაში მაქვს მონაწილეობა მიღებული.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

შორენა ბუხრაშვილი